საქართველოს ძლიერებას გაუმარჯოს!

# ლეჩხუმი

გაზეთი გამოდის 1933 წლიდან

რაიონის საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაზეთი

№22 (6516) 4 ივნისი ხუთშაბათი 1992 წელი

## ღმერთი ფარავდეს თქვენს სიჭაბუკეს

...და ყველაფერი დამთავრდა ისე, ლამაზად, სევდიანი ფერებით და ცრემლიანი თვალებით, დამთავრდა ცისფერი ბავშვობა.

ტკბილად და მტკივნეულად იგონებენ ახლა ერთად გატარებულ წლებს, არ გვინდა დავრწმუნეთ იმაში, რომ დასრულდა ზღაპარი და იწყება რეალობითა და მუქ-ლურჯი ფერებით სავსე ცხოვრება,— ამბობენ ზუბის საშუალო სკოლის მეთერთმეტეკლასელები და სიყვარულით შესცქერიან ერთმანეთს.

დაფაზე წარწერა ასე გაუფორმებიათ: მშვიდობით, ცისფერო ბავშვობავ, ცისფერო ცრემლო, ცისფერო სიყვარულო.

...ზუბის საშუალო სკოლის კურსდამთავრებულთა [illegible] არის პოეტი, [illegible] ბოლო ზარის [illegible] დამდეგის დღეც დაემთხვა, მივულოცეთ, წავიკითხეთ მისი ლექსები, გზა დავულოცეთ, გზა დავულოცეთ თითოეულ კურსდამთავრებულს, ფარავდეთ ღმერთი და ყველა წმინდა სალოცავი, რამეთუ მათზეა დამოკიდებული დღევანდელი საქართველოს ბედიღბალი, მისი მომავალი.

**ნინო ომანაძე.**

* * *

29 მაისს ქვედა ცაგერის არასრული საშუალო სკოლის ეზოში ახალგაზრდების მხიარული ჟრიამული იდგა. დაირეკა ბოლო ზარი. სკოლასთან დროებით გამომშვიდობების, საზაფხულო არდადეგების მაუწყებელი, მეცხრე კლასელთათვის გამოსაშვები ზარი.

სკოლის დირექტორმა დ. კოპალიანმა მოსწავლეებს სასწავლო წლის დამთავრება მიულოცა და აღნიშნა, რომ სასწავლო წლის შედეგები ცუდი არ არის. 100 მოსწავლიდან წარჩინებულია 37, საშემოდგომო გამოცდა უნდა ჩააბაროს ორმა. სკოლას არ ყავს მოსწავლეთა ქცევის წესების დამრღვევნი. მეცხრე კლასი დაამთავრა ათმა მოსწავლემ. მათ აღუთქვეს აღმზრდელ მასწავლებლებს, რომ წარმატებით ჩააბარებენ მეათე კლასში მისაღებ გამოცდებს.

ზეიმმა სოფლის კლუბში გადაინაცვლა. მოსწავლეებს სასწავლო წლის დამთავრება მიულოცეს I–II კლასელებმა, პედაგოგებმა, მშობლებმა. მოსწავლეებს უსურვეს კარგი დასვენება, საზაფხულო არდადეგების მხიარულად გატარება და ახალი სასწავლო წლის ბედნიერად დაწყება.

**ვ. დავითულიანი.**

---

ავაღორძინოთ ტრადიციული დარგები

## გზა დაგელოცოთ, მეაბრეშუმეებო!

ქართული აბრეშუმის წარმოება, როგორც მთელი რესპუბლიკის, ასევე ჩვენი კუთხის ტრადიციული დარგია. ახლა, როცა საქართველო მძიმე ეკონომიკურ კრიზისშია, ერთ-ერთი გამოსავალი ტრადიციული დარგების აღორძინებაში უნდა ვეძიოთ.

ზაფხული დაიწყო. რაიონის მეაბრეშუმეებს საინკუბაციო კამერებიდან უკვე გაჰყავთ გაცოცხლებული ჭიები. სეზონის დაწყებასთან დაკავშირებით ჩვენი გაზეთის კორესპონდენტი შეხვდა და ესაუბრა რაიონის აბრეშუმის მთავარ აგრონომს დემურ გოგიძეს, რომელმაც თქვა:

დაცვა თუ არა მაისი, მეაბრეშუმე სპეციალისტებს საზრუნავი მოგვემატა. პირველ რიგში მომზადდა საინკუბაციო კამერები, ინკუბისტებად შერჩეულ იქნენ საქმის მცოდნე, გამოცდილი სპეციალისტები.

17,1 კილოგრამი გრენა შევიტანეთ 10 საინკუბაციო კამერაში. გრენის გაცოცხლებისთანავე დაიწყო მისი რეალიზაცია. უბნის აგრონომები ყოველგვარი ძალდატანების გარეშე აწარმოებენ მის გაცემას მეაბრეშუმეებზე. დღეისათვის სულ რეალიზებულია 8,2 კილოგრამი მური. სარეალიზაციო მური უმნიშვნელო რაოდენობით დარჩენილია ტვიშის, ალპანის, ორბელის, ჩხუტელის, ლასურიაშისა და ოყურეშის საინკუბაციო კამერებში, რასაც ამ დღეებში გაინაწილებენ მეაბრეშუმეები. სწორედ მათ მონდომებულ შრომაზეა დამოკიდებული ჩვენი ეკონომიკური პოტენციალის ამოძრავება.

წელს 20 ტონა აბრეშუმის პარკი უნდა მივაწოდოთ ქვეყნის მრეწველობას, საიდანაც რჩეული და პირველი ხარისხისა უნდა იყოს 30 პროცენტი, II ხარისხისა—34, მესამე ხარისხის—20 პროცენტი, წუნი და ჩხარი კი—16 პროცენტი.

რაიონის მეაბრეშუმეებმა უნდა იცოდნენ, რომ დიდად მოიმატა ანაზღაურებამ, მართალია, ჩვენს დღევანდელ ფასებთან შედარებით შეიძლება არ გვაკმაყოფილებდეს, მაგრამ მაინც წაადგება ოჯახის ეკონომიკას.

ერთი კილოგრამი აბრეშუმის რჩეული პარკის ფასი 174 მანეთია, პირველი ხარისხისა—163 მანეთი, მეორე ხარისხის—103 მანეთი, წუნის—8,5 მანეთი, ჩხარის კი—2,5 მანეთი. ასე რომ, საშუალოდ ერთი კილოგრამი პარკის ფასი 115 მანეთია.

მურის გაცემისას მეაბრეშუმეებთან ვაფორმებთ ხელშეკრულებას, რაც საფუძველია იმისა, რომ მეაბრეშუმე შრომის საზღაურს უსათუოდ სრულად მიიღებს, ყოველგვარი დაქვითვის გარეშე, პარკის ჩაბარებიდან არა უგვიანეს 10 დღეში.

რაც შეეხება საკვებ ბაზას, შემოწმებით დადასტურებულია, რომ თუთა საკმაო რაოდენობითაა როგორც საკარმიდამო, ასევე საზოგადოებრივ მეურნეობაში. აქვე მინდა ისიც აღვნიშნო, რომ რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის სამინისტროს განკარგულების თანახმად, იქ, სადაც მეაბრეშუმეებს გაშენებული აქვთ თუთა პლანტაციის სახით, რჩება საზოგადოებრივი მეურნეობის განკარგულებაში და კერძო მეურნის საკუთრებაში არ გადადის.

ვიცით რა ლეჩხუმელი მეაბრეშუმეების ერთგულების ამბავი, მინდა გამოვთქვა რწმენა, რომ წლევანდელი სეზონი წარმატებით დასრულდება.

---

## სპეციალისტი განმარტავს:

**საქართველოს მინისტრთა კაბინეტის 1992 წლის 17 აპრილის დადგენილებით, საპენსიო უზრუნველყოფის კანონში სიახლეებია, სიახლეები ადამიანთა საკეთილდღეოდ.**

**ამასთან დაკავშირებით საზოგადოებისათვის განსაკუთრებით საინტერესო საკითხებს კონკრეტულად განმარტავს რაიონის სოციალური უზრუნველყოფის განყოფილების გამგე ნოდარ ცვარიანი.**

## პენსია - დახმარება გაიზარდა

საქართველოს მინისტრთა კაბინეტის 1992 წლის 17 აპრილის დადგენილების შესაბამისად, არამომუშავე ასაკის I და II ჯგუფის ინვალიდობით (მათ შორის ბავშვობიდან I და II ჯგუფის ინვალიდობით და 16 წლამდე ინვალიდ ბავშვთა სოციალური პენსიები) ასაკით და I და II ჯგუფის ინვალიდობით წელთა ნამსახურობის და პერსონალური პენსიები გადიდდა 100 მანეთით, ხოლო ყველა სახის პენსიები მარჩენალის დაკარგვის გამო ითოეულ წევრზე, III ჯგუფის ინვალიდობით და სოციალური პენსიები გადიდდა 50 მანეთით.

მომუშავე პენსიონერებს ეს გადიდება არ შეეხებათ, მაგრამ განთავისუფლების შემთხვევაში პენსიები გადაუანგარიშდებათ იმ წესების დაცვით, რაც არამომუშავე პენსიონერებისათვის არის გათვალისწინებული.

იმ პენსიონერებს, რომლებსაც ენიშნებათ ასაკის მინიმალური პენსიის 50 პროცენტი, 1 მაისიდან დაერიცხებათ 50 მანეთი. 50 მანეთი დაერიცხებათ ასევე ყველა სახის III ჯგუფის ინვალიდობის პენსიის მიმღებთ (მათ შორის III ჯგუფების სოციალური პენსიის მიმღებთ).

რაც შეეხება დახმარების გადაანგარიშებას და დანიშვნას, იგი უნდა მოხდეს მინიმალური ხელფასიდან პროცენტულად.

დახმარების დასანიშნად წარდგენის და დანიშვნის წესები იგივეა, რაც დღემდე მოქმედებდა, მაგრამ დახმარების ოდენობები განისაზღვრება შემდეგნაირად:

ვინაიდან მომუშავეთათვის მინიმალურ ანაზღაურებად განსაზღვრულია 500 მანეთი:

ერთდროული დახმარება ბავშვის დაბადებისას გაიცემა 500 მანეთის ოდენობით.

ბავშვის წლინახევრის ასაკამდე დახმარება 500 მანეთის 60 პროცენტის ოდენობით, რაც შეადგენს თვეში 300 მანეთს.

ბავშვის 1,5-დან 6 წლის ასაკამდე დახმარება 500 მანეთის 50 პროცენტით, 250 მანეთი.

მარტოხელა დედების და ალიმენტის ურჩი გადამხდელი მშობლების ბავშვების დახმარება 500 მანეთის 50 პროცენტის ოდენობით—250 მანეთი.

ამ ოდენობამდე შეივსება იმ ბავშვების ალიმენტის თანხები, რომელთა მშობლებიც თუმც იხდიან ალიმენტს, მაგრამ იგი 250 მანეთზე ნაკლებია სოცუზრუნველყოფის განყოფილება გასცემს სხვაობას ალიმენტსა და 250 მანეთს შორის.

მოქალაქეებს, რომლებმაც მიაღწიეს საპენსიო ასაკს, ქალებმა 55 წელს და მამაკაცებმა 60 წელს, გააჩნიათ არანაკლებ 5 წლის სტაჟი, 1992 წლის 1 მაისიდან პენსიები დაენიშნებათ ყოველგვარი შემზღუდავი პირობების გარეშე.

1992 წლის 1 მაისიდან მოსწავლეებისათვის გაგრძელდება მარჩენალის დაკარგვის გამო პენსიის გაცემა 23 წლის ასაკის შესრულებამდე. ამასთან 18 წლამდე პენსიების გაცემა მოხდება სწავლის შესახებ ცნობების წარმოდგენის გარეშე. ე. ი. თუ ადრე მოეთხოვებოდათ ცნობები სწავლის შესახებ 16 წლის ასაკის შესრულების შემდეგ, 1 მაისიდან ეს ცნობები მოეთხოვებათ 18 წლის ასაკის შესრულების შემდეგ.

ამასთან საჭიროა მოსწავლეებს, რომლებსაც 18 წლის ასაკის შესრულებისას მოეხსნათ პენსია, მაგრამ არ შესრულებიათ 23 წელი, გაუგრძელდეთ პენსიის გაცემა სწავლის შესახებ ცნობების წარმოდგენის შემდეგ. ყველა შემთხვევაში პენსია მიეცემათ ამა წლის 1 მაისიდან.

განსაკუთრებული ყურადღება მინდა გავამახვილო კოლმეურნე პენსიონერების მიმართ. საქმე იმაშია, რომ სოციალური უზრუნველყოფის ორგანოებიდან პენსია-დახმარებები უნდა გაიცეს მხოლოდ არამომუშავე კოლმეურნე პენსიონერებზე, როგორც ეს ამჟამად მოსამსახურე პენსიონერებზე ხდება, ხოლო მომუშავე კოლმეურნე პენსიონერებმა აღნიშნული პენსია-დახმარებები უნდა მიიღონ შესაბამისი კოლმეურნეობებიდან. ამიტომ მიმდინარე წლის 1 ივნისიდან პენსია-დახმარებების მიღება შეუწყდება დროებით ყველა კოლმეურნე პენსიონერს მიუხედავად მისი ასაკისა.

მისი დროულად აღდგენისათვის არამომუშავე კოლმეურნე პენსიონერებს ხაზს ვუსვამთ— (მიუხედავად ასაკისა) ვთხოვთ სასწრაფოდ წარმოადგინონ ცნობები მათი კოლმეურნეობაში არ მუშაობის შესახებ შესაბამისი კოლმეურნეობის გამგეობისაგან, ხოლო მომუშავე პენსიონერები გამოცხადნენ სოციალური უზრუნველყოფის განყოფილებაში სპეციალური ფორმა № 25-ის კოლმეურნეობაში წარსადგენად, რის საფუძველზეც უნდა მოხდეს მათთვის პენსია-დახმარებების გაცემა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# № 6 0 0 7 2 . . .
# ელოდება ხელგაშლილ ხალხს

**საყოველთაო დეფიციტის პირობებში, როცა საზოგადოების მნიშვნელოვანი ნაწილი სიღარიბის ზღურბლთან დგას, ძალზე მცირეა არსებული ეკონომიკური სიდუხჭირიდან სწრაფად თავდახსნის შანსი. ეს კი, უპირველესად, ჩვენს ჯანმრთელობას უქმნის საფრთხეს. მითუმეტეს დეფიციტი უკვე „გაშინაურდა“ ჯანმრთელობის სფეროშიც, რასაც ბუნებრივია, ძნელად ეგუებიან ავადმყოფები თუ მათი გულშემატკივრები. ადამიანებს სურთ გააჩნდეთ ჯანმრთელობის შენარჩუნების გარანტია. თუ რამდენად ხელეწიფებათ ეს რაიონის მედიკოსებს, გვესაუბრება რაიონისა და რაისაავადმყოფოს მთავარი ექიმი მურმან თოთაძე:**

—მართლაც, ძნელია ჯანმრთელობის დაცვის სისტემაში დღეს შექმნილ პირობებთან შეგუება. იმდენმა პრობლემამ მოიყარა თავი, რომ ხშირად აუცილებლობის წინაშეც კი უძლურნი ვართ. და მაინც ვცდილობთ მწირი შესაძლებლობის მიუხედავად, მაქსიმალური მომსახურება გავუწიოთ ავადმყოფებს. მართალი გითხრათ, იმ ფონზე, რომ მალე მოსალოდნელია თბილისში რამდენიმე საავადმყოფოს დახურვა უსახსრობისა და სფეროში შექმნილი დეფიციტის გამო, ჩვენთან არსებული ვითარება ოპტიმისტურადაც ჩანს. რამდენიმე ახალი კაბინეტის შექმნასაც კი ვაპირებთ დიაგნოსტიკური ლაბორატორიისა და ფიზიოკაბინეტის ბაზის გაუმჯობესებაც გვაქვს გამიზნული, სხვა აპარატურასთან ერთად ეხოსკოპსაც მოვიტანთ მალე. სხვასთან შედარებით საწუწუნო არა გვაქვს მედიკამენტებზეც. ერთჯერადი შპრიცები გვაქვს, ოღონდ ესაა, შესახვევი მასალის დეფიციტს განვიცდით, დარჩენილი ბამბა და ბინდი ორ ოპერაციას თუ ეყოფა მხოლოდ.

**—იმასაც ამბობენ, საავადმყოფოში ნათურაც კი უჭირთო...**

—თქვენ წარმოიდგინეთ, ნათურის სათხოვნელად მინისტრთან მომიხდა შესვლა, მაგრამ 50 ნათურაზე მეტი მაინც ვერ ჩამოვიტანეთ, რომ იტყვიან თვალისჩინივით ვუფრთხილდებით, ახლა ხომ ნათურას კომერციულ მაღაზიაში თუ შეიძენთ, ჩვენ კი ძალზე „ხელმოკლედა“ ვართ. დაგეგმილი ბიუჯეტი მილიონნახევარ მანეთზე მეტით შეგვიმცირეს ისე, რომ საერთოდ არ არის გათვალისწინებული ბევრი რამ, მათ შორის მაგარი ინვენტარისა და კაპიტალური რემონტის თანხები. საავადმყოფოს შენობა კი აუცილებელ რემონტს საჭიროებს შესაკეთებელია სახურავი, გამოსაცვლელია ელექტროგაყვანილობა, ავარიულ მდგომარეობაშია სტომატოლოგიური კაბინეტი და პოლიკლინიკის შენობა, სადაც სამრეცხაო და გათბობის სისტემაა მოთავსებული. არადა საავადმყოფოს ახალი კორპუსის მშენებლობაც გაჭიანურდა. პროექტი შეიცვალა და როგორც ჩანს, კიდევ მოუხდებათ რაღაცეების შეცვლა. სამწუხაროდ, ამის მიზეზი მარტო სამშენებლო მასალების დეფიციტი როდია. ვფიქრობ, ყველა არსებული შესაძლებლობა მშენებლობის დასრულებას უნდა მოხმარდეს, სანამ აშენებულიც არ დანგრეულა.

შარშანდელმა მიწისძვრამ ალპანის საავადმყოფოს შენობა ისე დააზიანა, რომ დღეს მისი ფუნქციონირება შეჩერებულია. აქ მხოლოდ ამბულატორიული მკურნალობა თუ შეიძლება. არადა ამ საავადმყოფოს ძალზე დიდი დატვირთვა ჰქონდა, ცირითადად იგი უწევდა რიონის ხეობის ლეჩხუმელებს მომსახურებას. იქნებ როგორმე ამ საავადმყოფოს მშენებლობაც დაჩქარდეს.

ჩვენი მწირი ბიუჯეტის გამო გადავწყვიტეთ საავადმყოფოსთან შეგვექმნა სამშენებლო კოოპერატივი, რომელშიც გაერთიანდებოდნენ ჩვენივე ტექნიკური მუშაკები. ამით ზედმეტი თანხების ხარჯვასაც ავიცილებდით თავიდან და სამუშაოთა უხარისხოდ შესრულებასაც, რაც ასე ახასიათებთ დღეს მომრავლებულ სამშენებლო კოოპერატივებს. ჯერჯერობით ნებართვა ვერ მივიღეთ, ჩვენი ბიუჯეტი კი არ ითმენს.

სიტყვას მოყვა და ბოლო დროს ვეძებთ იმგვარ ხერხებს, ფული რომ დაგვიზოგოს და საქმესაც არგოს. ახლა სათბურის გაცემას ვაპირებთ იჯარით. ვიმედოვნებთ, ამით გარკვეულად გაუმჯობესდება საავადმყოფოს ღარიბი კვების ბლოკი.

**—უფრო დაწვრილებით გვიამბეთ ავადმყოფთა კვების შესახებ.**

—საკვებ პროდუქტთა ერთ ნაწილს კომერციულ ფასებში ვყიდულობთ, თუმცა სახელმწიფო ფასებიც არაა დაბალი— შაქარს, მაგალითად, 45 მანეთად ვყიდულობთ, მის დეფიციტს ნამდვილად არ განვიცდით. რძე და რძის პროდუქტები კი აღარ გვაქვს, ამიტომ ჩვენი ასორტიმენტი ძალზე გაღარიბდა.

**—ზოგჯერ საყვედური ისმის სასწრაფო დახმარების სამსახურის მიმართ...**

—თუ საგაზეთო წერილს რაიმე შეუძლია, სწორედ ეს მინდა შემოგჩივლოთ. საქმე ისაა, რომ ჩვენ გვემსახურება „საქმედავტოტრანსის“ გაერთიანების ლენტეხის ფილიალი, რომლისგანაც ვქირაობთ სასწრაფო დახმარების მანქანებს. ეს ბევრ უხერხულობას და პრობლემას გვიქმნის. მანქანების სათადარიგო ნაწილების, საბურავების და საწვავის თანხას მაინც ჩვენ ვიხდით. ფაქტობრივად გაერთიანებას ტყუილად ვუხდით ფულს. თუ დაგვეხმარებიან და ავტოპარკი რაიონს გადმოეცემა, ეს ბევრ სირთულეს მოხსნის და სასწრაფო დახმარების სამსახურის პრესტიჟს აღადგენს. წელს იმდენი ვიწვალეთ, რომ მიუხედავად ბენზინის მწვავე დეფიციტისა, მანქანები საერთოჯამში თვენახევარზე დიდხანს არ გაჩერებულა.

**—არის თუ არა საავადმყოფო უზრუნველყოფილი საკუთარი დენის წყაროთი?**

—სამწუხაროდ, არა. დიზელგენერატორი არა გვაქვს. ახლის შეძენის იმედით საავადმყოფოს უწინდელმა ადმინისტრაციამ დიზელ-გენერატორი გააჩუქა, ახალი გენერატორი კი ვერ დავამონტაჟეთ. და მხოლოდ კუსტარული, მცირე სიმძლავრის მოძრავი გამანათებელი მოწყობილობის იმედზე ვართ. ეს დიდ პრობლემებს გვიქმნის, ამავე გამანათებლით სარგებლობს სამშობიარო განყოფილებაც.

არსებულ პირობებში მამაპაპურ ნავთის ლამპაზეც არ ვიტყოდით უარს, მაგრამ ნავთიც არავინ მოგვცა. არადა რაიკავშირს სულ ერთი ტონა ნავთი ვთხოვეთ. ასე, რომ, ამ ძნელ ზამთარში თანამშრომლების „შემოწირული“ საწვავით გავედით ფონს.

**—კადრები თუ ყავს საკმარისად რაიონის ჯანდაცვის სისტემას?**

—საერთოდ, ახალგაზრდა, კადრები ნაკლებად მოდიან რაიონში სამუშაოდ. ჩვენ ვერაფერს ვპირდებით, ვერ ვაკმაყოფილებთ ელემენტარული საყოფაცხოვრებო პირობებით. ამიტომ გვიჭირს, რაიონის ბევრი სოფელი (ალვი, ზუბი, ლასურიაში, უსახელო, ღვირიში, ნაკურალეში) ექიმის გარეშეა დარჩენილი. არ გვყავს რენტგენოლოგი, ვენეროლოგი, ონკოლოგი, ქირურგიც გვაკლია. ამის გამო ჩვენი ქირურგები ძალზე არიან გადატვირთულები. ექიმ-პედიატრის 3 ვაკანტური ადგილია, თუმცა, საბედნიეროდ, ბავშვთა ავადმყოფობის პროფილაქტიკისა და მკურნალობის მდგომარეობა კარგია. ეს ჩვენი ექიმების მაღალი პროფესიონალიზმის შედეგია.

**—ბოლო დროს რესპუბლიკისათვის გაწეულმა ჰუმანიტარულმა დახმარებამ თუ მოაღწია ჩვენამდე?**

—ამას წინათ გამოგვიყვეს დახმარების გარკვეული ნაწილი—180 ცალი რძის ფხვნილი და 6 დასახელების წამალი. ეს არის და ეს. 12 ცალი რძის ფხვნილი სამშობიარო განყოფილებას გადავეცით ახალშობილებისთვის. დანარჩენს კი პედიატრები ანაწილებენ საჭიროებისამებრ.

და თითქოს ამ სიტყვების საილუსტრაციოდ, იქვე შემოვიდა მთხოვნელი და პედიატრის ხელმოწერილი ცნობით მთავარმა ექიმმა თავის კაბინეტში შენახული ორი ცალი რძის ფხვნილი გაატანა.

კიდევ დიდხანს ვისაუბრეთ. სასაუბრო—ისევ პრობლემები ჯანდაცვაში. ყველა პრობლემამ უსახსრობასთან მიგვიყვანა. საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლის პერიოდში ეს განსაკუთრებით მტკივნეულია. გამოსავალი თითქოს არ ჩანს, უფასო სამედიცინო მომსახურება თავს ვერ დაირჩენს, სახელმწიფოს კი უჭირს. ახლა საავადმყოფო სპონსორებს ეძებს, ჯერჯერობით უშედეგოდ აგრომრეწვანკის ცაგერის განყოფილებაში საავადმყოფოსათვის გახსნილია სპეციალური ანგარიში. ამ ანგარიშზე არსებული 4600 მანეთიდან 1000 კოოპერატივმა „ლაძგვერიამ“ გადარიცხა, ცოტ-ცოტა სხვამაც ჩაილო, მაგრამ ეს თანხა აშკარად არ ყოფნის საავადმყოფოს საჭიროებებს, ამიტომ მთავარი ექიმი ფიქრობს ახალი სამედიცინო კაბინეტების შექმნის შემდეგ ნაწილობრივ ფასიან მომსახურებაზე გადავიდეს სისტემა. ესეც გარკვეულ შეღავათს მისცემს მედიკოსებს, და იქნებ მათ პაციენტებსაც. და ვინ იცის, იქნებ მალე დადგეს ის დროც, როცა ფეხმძიმე ქალს ანალიზების ასაღებად უცხერიდან ცაგერში არ მოუწევს ფეხით ჩამოსვლა.

**ლ. ცხვედიანი,**
**ი. ხმელიძე.**

P. S. ძვირფასო მკითხველო! გვსურს კიდევ ერთხელ შეგახსენოთ რაისაავადმყოფოს სპეციალური ანგარიში—№ 60072.

## სიახლე

# სახელმწიფო დაზღვევაში

მოქალაქეთა კუთვნილი შენობების და საოჯახო ქონების კომპლექსური და პირუტყვის ნებაყოფლობითი დაზღვევის წესებსა და პირობებში შეტანილია ცვლილებები, რაც ძირითადად გამოიხატება შემდეგში:

1. შენობა-ნაგებობების განადგურება-დაზიანების შემთხვევისათვის, რაც გამოწვეულია: მეწყრის, მიწისძვრის, ხანძრის, აფეთქების, მეხის დაცემის, წყალდიდობის, ღვარცოფის, ცუნამის, ქარიშხლის, გრიგალის, ქარბორბალას, თქეშის, სეტყვის, ჩამოზვავების, წყლის ნიაღვრის, უხვთოვლიანობის შემთხვევებში ნებაყოფლობით დაზღვევის პირობებით დამაზღვეველი იხდის სადაზღვევო თანხის 2 პროცენტს.

2. პირველ ვარიანტში ჩამოთვლილი სადაზღვევო შემთხვევებისას გარდა მეწყრისა დამაზღვეველი იხდის სადაზღვევო თანხის I პროცენტს.

3. პირველ ვარიანტში ჩამოთვლილი სადაზღვევო შემთხვევებისას, გარდა მეწყრისა და მიწისძვრისა, დამაზღვეველი იხდის სადაზღვევო თანხის 0,5 პროცენტს. ერთიანი სადაზღვევო მოწმობით შენობებისა და საოჯახო ქონების კომპლექსური დაზღვევის გადასახდელთა სატარიფო განაკვეთები შეადგენს სადაზღვევო თანხის იმდენივე პროცენტს, რაც დაწესებულია შენობების ნებაყოფლობითი დაზღვევის ზემოთაღნიშნული მუხლებით.

მოქალაქეთა საყურადღებოდ განვმარტავთ, რომ მიმდინარე წელს არ მოგვიხდენია მოსახლეობაზე შენობებისა და პირუტყვის სავალდებულო დაზღვევის გადასახდელთა გაწერა, რაც თავისთავად გულისხმობს, რომ მათ მიმართ რაიმე სადაზღვევო შემთხვევის დადგომისას ზარალის ანაზღაურება არ მოხდება.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, გაუქმდა მოსახლეობის პირუტყვის სავალდებულო დაზღვევა. ყველა მსურველს შეუძლია თავისი კუთვნილი პირუტყვი დააზღვიოს ნებაყოფლობითი წესით. პირუტყვი შეიძლება დავაზღვიოთ 500, 1000 და 2000 მანეთში, რაც მის ასაკზეა დამოკიდებული. ამასთან დაზღვევის გადასახდელი დაწესებულია სადაზღვევო თანხის 20 პროცენტი.

მოქალაქეებს, ვისაც სურვილი ექნება ზემოთ აღნიშნული ნებაყოფლობითი დაზღვევით, ხელშეკრულებების გაფორმებისა, და დამატებითი განმარტებების მიღებისათვის გთხოვთ, მობრძანდეთ სახდაზღვევის ცაგერის ინსპექციაში.

ისარგებლეთ დაზღვევის სიკეთით, სანამ გვიან არ არის.

**ჯ. ჩიკვაიძე,**
**სახდაზღვევის ცაგერის ინსპექციის უფროსი.**

**26 მაისს მიეძღვნა**

# რაც ასე ცხოვლად დააჩნდა სულს

საქართველოს თავისუფლების დღეს და ეროვნული მოძრაობის უთვალსაჩინოესი წარმომადგენლის სულმნათ მერაბ კოსტავას დაბადების დღეს მიეძღვნა კონცერტი, რომელიც სარაიონო კულტურის სახლში გაიმართა.

ეს იყო საღამო, რომელიც უდიდეს სიამოვნებად დაედევნთა მაყურებელთა სულს. კონცერტის მსვლელობამ აჩვენა ის დიდი მონდომება და ძალისხმევა, რომელიც არასოდეს აკლდათ ჩვენს მსახიობებს. ეს საღამო ამ დიდი ერთსულოვნების შედეგი იყო.

კიდევ ერთხელ დააგუგუნეს თეატრის სცენაზე მერაბ კოსტავას საყვარელი „შავლეგო“, რომელმაც ჟრუანტელად დაუარა ქართულ სისხლს, ჯიშსა და გენს და კიდევ ერთხელ შეახსენა ვისი გორისაა.

„შინაურ მღვდელს შენდობა არა აქვსო“, ბრძენკაცს უთქვამს. სრული ჭეშმარიტებაა. სხვა ქალაქიდან თუ რაიონიდან ჩამოსულ მსახიობებს მაყურებელი არასოდეს დაკლებია. საკუთარს კი რატომღაც ნაკლებ ყურადღებას ვაქცევთ, არადა ვისზე ნაკლებად შეუძლია ლეჩხუმელ ხელოვანს იმ უზომოდ დიდი პოტენციალის წარმოჩენა, რომელიც გააჩნია.

დარბაზს სწორედ ის პრეტენზიული მაყურებელი აკლდა, რომლისგანაც ხშირად გამიგონია: ჩვენში კულტურული ცხოვრება დიდი ხანია ჩაკვდაო.

კიდევ ერთხელ მინდა მადლობა გადავუხადო შემოქმედებით კოლექტივს სასიამოვნო საღამოსთვის.

**მარიკა მეგრელი.**

რედაქტორი
ნ. ნემსაძე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# განცხადება

სამკურნალო კოოპერატივი „ლაძგვერია“ მიმდინარე წლის 5 ივნისიდან ხსნის სეზონს.

დღევანდელი ეკონომიკური კრიზისიდან გამომდინარე უნდა გაგაცნოთ მომსახურების პირობები:

კოოპერატივს დღე-ღამეში საშუალოდ აბაზანების გათბობისათვის 900 კილოვატსაათი ელექტროენერგია სჭირდება, რომლის ღირებულება 2000 მანეთია. აქედან გაანგარიშებით 1 აბაზანის მიღება 50 მანეთი დაჯდება. ამას პლუს ბინა, თეთრეული, განათება, სამედიცინო მომსახურება.

გაცნობებთ აგრეთვე, რომ საერთო ღირებულებაში არ შევა კვების ბლოკი. თუმცა ცალკე, ჩვენი ზედამხედველობითა და კონტროლით იმუშავებს სასადილო. დამსვენებელს შეუძლია საკვები პროდუქტების სახლიდან მოტანაც.

კოოპერატივ „ლაძგვერიის“ ადმინისტრაცია.

# ყურადღება!

ღვთისშვილთა კავშირის (ინვალიდთა ასოციაცია) ლეჩხუმ-სვანეთის რეგიონალური ორგანიზაციის გამგეობა იუწყება, რომ მიმდინარე წლის 23 ივნისს, 12 საათზე ცაგერის რაიონული საკრებულოს სხდომათა დარბაზში გაიმართება ღვთისშვილთა კავშირის ლეჩხუმ-სვანეთის რეგიონალური ორგანიზაციის დამფუძნებელი კონფერენცია.

კონფერენციას უნდა დაესწრონ ცაგერისა და ლენტეხის რაიონებში მცხოვრები ინვალიდები, საკრებულოების გამგებლები ან წარმომადგენლები, სხვა მსურველნი.

ბ. შკუბულიანი,
ღვთისშვილთა კავშირის (ინვალიდთა ასოციაცია) ლეჩხუმ-სვანეთის რეგიონალური ორგანიზაციის თავმჯდომარე.

# განცხადება

სოფლის მეურნეობის მუშაკთა პროფრაიკომში (შრომის სახლი) შეიქმნა მანქანაზე ბეჭდვის სამეურნეოანგარიშიანი ჯგუფი, რომელიც ხელსაყრელ ფასებში შეასრულებს კლიენტთა დაკვეთებს, როგორც გადარიცხვით, ისე ნაღდ ანგარიშზე.

პროფკავშირის რაიკომი.

## გილოცავთ ახალდაქორწინებულებო!

**ბელა ვალოდიას ასულ გოლეთიანს**
**ემზარ ზაურის ძე კენჭაძეს**

გილოცავთ ბედნიერებას. გფარავდეთ ღმერთი.

მამუკა მუშკუდიანი, მამუკა არდაშიანი, ბესიკ ცხვედიანი ოჯახებით.

---

**ნატო ჩაკვეტაძეს, ანზორ ბენდელიანს**

გილოცავთ ბედნიერებას. შეგექმნათ ფუძძლიერი და მტკიცე ოჯახი. დაგბედებოდეთ სიხარული, სიყვარული, შვილთა სიმრავლე.

სასურსათო კომბინატის შრომითი კოლექტივი.

---

**ლალი გვიშიანს, ბესიკ ჭაბუკიანს**

გილოცავთ ბედნიერებას. გისურვებთ გამრავლებას. ღიმილი, სიხარული და სიკეთე ყოფილიყოს თქვენი ცხოვრების თანამგზავრი.

თანაკლასელები.

---

**ნატო გიორგელიძეს, გრიგოლ ყურაშვილს**

გილოცავთ ბედნიერებას. ფუძძლიერი ყოფილიყოს თქვენი ახლადშექმნილი ოჯახი.

დარეჯან, ხვიჩა სვანიძეები, ნუგზარ გუგავა.

---

**მაია ტალახაძეს, კობა ჩაფრავას**
**ნატო დავითულიანს, გენადი კოპალიანს**
**ლალი გვიშიანს, ბესიკ ჭაბუკიანს**

გილოცავთ ბედნიერებას. იხარეთ და იმრავლეთ.

ბონდო ახვლედიანი, ოთარ დავითულიანი ოჯახებით.

---

**ნატო დავითულიანს, გენადი კოპალიანს**

გილოცავთ ბედნიერებას.

ზაზა ყურაშვილი.

---

**ნატო დავითულიანს, გენადი კოპალიანს**

გილოცავთ ბედნიერებას. გისურვებთ შვილთა სიმრავლეს.

იამზე, გენადი აფხაძეები.

---

**ნესტან სალინაძეს, რამაზ ნემსწვერიძეს**

გილოცავთ ბედნიერებას. სიყვარული ყოფილიყოს თქვენი ცხოვრების მეგზური.

ქეთინო, ირმა ლიპარტელიანები, ნატო ჩაკვეტაძე.

---

**ბელა გოლეთიანს, ემზარ კენჭაძეს**

გილოცავთ ბედნიერებას. იხარეთ და იმრავლეთ.

მაცაცო სვანიძე, ლია, ნარგიზა მუშკუდიანები.

---

**ლალი გვიშიანს, ბესიკ ჭაბუკიანს**

გილოცავთ ბედნიერებას. შეგექმნათ ფუძძლიერი ქართული ოჯახი.

მალაქი ჭაბუკიანი, ბუჭუ ვაწაძე.

---

**ნათელა სალინაძეს, მამია ყურაშვილს**

გილოცავთ ბედნიერებას. გისურვებთ გამრავლებას.

ნათლული ზურაბ ჩაკვეტაძე.

---

**ნათელა სალინაძეს, მამია ყურაშვილს**

გილოცავთ ბედნიერებას. შვილთა სიმრავლე დაგბედებოდეთ.

აჟთო ყურაშვილი.

---

**ნათელა სალინაძეს, მამია ყურაშვილს**

გილოცავთ ბედნიერებას. გფარავდეთ ღმერთი.

მარინე, მერაბ ახვლედიანები.

---

**ნათელა სალინაძეს, მამია ყურაშვილს**

გილოცავთ ბედნიერებას. იხარეთ და იმრავლეთ. ღმერთი იყოს თქვენი მფარველი.

მზია ჭაბუკიანი, ციცო ქომეთიანი, ცინური ჩაკვეტაძე, ციცო თუთისანი, თენგული კოპალიანი, მალხაზ ბენიძე, სერიოჟა გუგავა.

## გილოცავთ

**ცარო, ჯემალ გვიშიანებს**
**იზო, ვაჟა კვენეტაძეებს**

გილოცავთ ეკასა და დათოს ბედნიერებას. იხაროს თქვენმა ფუძე-ჭერმა.

ლაშა ბურჯალიანი, გოგი გოლეთიანი ოჯახებით.

---

**იზა ირემაძეს**

გილოცავთ თამუნას დაბადების დღეს, ღაეფასებინოს შენი დედობა.

მოგილოცავთ შენი დაბადების დღესაც, 25 წლის შესრულებას და ინსტიტუტის წარჩინებით დამთავრებას.

დედ-მამა, დედმამიშვილები.

---

**ლენა გიორგელიძეს, ოლღა ბახსოლიანს**

გილოცავთ შვილისა და შვილიშვილის ნატოს ბედნიერებას.

ვილგემ მეშველიანი, ზაალ სვანიძე, ჟორა ბენდელიანი, დათო მუშკუდიანი, გურამ კოპალიანი, ჟორა, ჯუსტან ახვლედიანები ოჯახებით.

---

**თსუ საინჟინრო ეკონომიური ფაკულტეტის II კურსის სტუდენტს**
**გია ოთარის ძე სვანიძეს**

გილოცავთ დაბადების დღეს. იხარე, იმრავლე, იბედნიერე.

დეიდები და ბიძები: მარო, ეთერ, ია, ჯემალ, ჟორა, ზინა, ბორია ირემაძეები.

---

**გოგი მეშველიანს**

ბაბუ, გილოცავთ 50 წლის შესრულებას. იყავ დღეგრძელი.

ნინო და გვანცა.

---

**ლედი დანიელის ასულ ყურაშვილს**

გილოცავთ დაბადების დღეს.

ჟუჟუნა შკუბულიანი, ნატო ბენიძე, ნაირა ქარსელაძე, ნაზი კოპალიანი.

---

**ლერი გაბრიელის ძე ტვილდიანს**

გილოცავთ 50 წლის შესრულებას. გისურვებთ ჯანმრთელობას, ხანგრძლივ სიცოცხლეს თქვენი ოჯახით.

ზურაბ, ანზორ, გურამ ტვილდიანები, ვალოდია თოდიძე, რუბენ კოპალიანი, კაკო მეშველიანი ოჯახებით.

---

**ნატო, იური გურაშვილებს**
**ლია, ზაურ ახვლედიანებს**

გილოცავთ შვილისა და შვილიშვილის შეძენას. იმრავლოს თქვენმა ფუძემ.

ჯუმბერ ცვარიანი, ამირან კვირკაშვილი ოჯახებით.

---

**ირმა, გოგი, იორამ მუშკუდიანებს**

გილოცავთ შვილისა და შვილიშვილის შეძენას.

ცარო, ნატო, მელორ მამარდაშვილები.

---

**ლამარა, გრიშა სვანიძეებს**

გილოცავთ თეონასა და კახას ბედნიერებას. შეექმნათ ფუძეძლიერი ოჯახი.

რაიპოლიკლინიკის თანამშრომლები.

---

**ლილი, ჯემალ დავითულიანებს**

გილოცავთ ნატოს ბედნიერებას.

ვაჟა მუშკუდიანი ოჯახით.

---

**ლილი, ჯემალ დავითულიანებს**

გილოცავთ ნატოს ბედნიერებას.

ნინა, ინდიკო ყურაშვილები ოჯახით.

---

**ლამარა ასათიანს, გრიშა სვანიძეს**

გილოცავთ კახას ბედნიერებას.

გურამ კოპალიანი ოჯახით.

# ხსოვნა

## თემურ დავითის ძე ახვლედიანი

მოულოდნელად წახვედი ჩვენგან, უკვე ცხრა წელი გასულა. რა ნუგეში უნდა ვუთხრათ შენს დედას, შენს დამკარგველს, რომელიც დღედაღამ ოცნებობდა შენს დაქორწინებაზე. რომ შეძლებულიყო, ყველა შენი მეგობარი დავიკლებდით სიცოცხლის წლებს და გიწილადებდით.

არდავიწყების შარავანდედი გმოსავს. სოფელმა იმ ადგილს, სადაც შენ ცხოვრობდი, „თემურის გორა“ უწოდა. ყოველ შენს დაბადების და გარდაცვალების დღეზე (31 მაისი) იკრიბებიან ამხანაგები, ახლობლები, სოფლის ახალგაზრდობა შენს საფლავზე, შენს დაობლებულ სახლში. უკვე 37 წლისა გახდი, მოგილოცეთ, მოვედით საფლავზე, ვკითხულობდით შენს დაკრძალვაზე დაწერილ ლექსებს და ვტიროდით:

„...ოი, რა უცებ იწვება, დნება და ქრება სანთელი. ყოველთვის თვალწინ გვიდგეხარ მაგ შენი სახის ნათელით“.

სახდაზღვევის ინსპექციის თანამშრომლები.

## ირინე ჩაფრავა

ლამაზი იყავ, მოხდენილი, თბილისის სახელმწიფო თეატრალური ინსტიტუტის მესამე კურსის სტუდენტი ამაყად დააბიჯებდი დედამიწაზე, მომავალიც ცისფერი და საინტერესო გესახებოდა, მაგრამ სიკვდილი კარის ზღურბლთან ყოფილა ჩასაფრებული, 3 თვეში წაგიყვანა ზეციურ სასუფეველში, სიცოცხლით გაუმაძღარი, ოცნება აუხდენელი.

სიკვდილშიც სილამაზეს ეძებდი. გირჩიეს, ცოცხალი თირკმელის გადანერგვით გაგიხანგრძლივებთო სიცოცხლეს, მაგრამ იუარე, სხვისი, თუნდაც დედის, ძმის წლების ფასად არ გეწადა სიცოცხლე.

უღალატო იყავი, კულტურის განყოფილებაში ინსპექტორად მუშაობდი, წლები, საქმე, ხელოვნება, კულტურა, სიყვარული გვაკავშირებდა.

შენ ისევ 25 წლისა, ფერიასავით ლამაზი და მოხდენილი გოგო ხარ თბილი და კეთილი გულით, მეოცნებე თვალებით.

მიხაკებითა და ვარდებით, გულწრფელი ცრემლით მოვდივართ დაბადების დღეზე შენს საფლავზე, ჩვენო მონატრებულო მეგობარო.

მეგობრები.

ეროვნული ბიბლიოთეკა

შვილები ამზაირი, ომარი, რძლები ჟუჟუნა, ციცო, ნანა, შვილიშვილები კახა, ნათია, შორენა, ხათუნა, თეა, კობა, ეკა, დისშვილები, დისშვილიშვილები იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

**ნორა გრიგოლის ასული რუსიშვილი-კიზირია**

დაკრძალვა 6 ივნისს, შაბათს, ქ. ცაგერში.

ჯაბო დავითულიანი ოჯახით იუწყება, რომ გარდაიცვალა

**ბახვა კოპალიანი**

ფოთოლა კოპალიანი, ნანი ქომეთიანი, ნუნუ გელენიძე, ლეილა ბენიძე, ლილი ყურაშვილი, მაყვალა ცხვედიანი, ირინე სვანიძე, თამილა ბენდელიანი, თინა თუთისანი, დოდო ლორთქიფანიძე, ნანული მეშველიანი, მალვინა ეფაძე, ლალი კიკალიშვილი თანაუგრძნობენ ნანა ხეცურიანს მამიდა

**თამარის**

გარდაცვალების გამო.

გურამ ხმელიძე, ბახვა, ოთარ სალინაძეები, ვენერა გოლეთიანი, ლევან ნემსწვერიძე, ავთანდილ გვიშიანი ოჯახებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

**ნორა რუსიშვილი-კიზირია**

და თანაუგრძნობენ განსვენებულის ოჯახს.

მალაქი ქაბუკიანი, ბუჭუ ვაწაძე ოჯახებით იუწყებიან

**ლავროსი ქაბუკიანის**

გარდაცვალებას.

ორბელის საშუალო სკოლის 1979 წლის კურსდამთავრებულები და კლასის ხელმძღვანელები თ. ჩაჩხიანი და გ. ბურჯალიანი თანაუგრძნობენ მერაბ ნემსწვერიძეს დედის

**ლენა გვიშიანი-ნემსწვერიძის**

გარდაცვალების გამო.

მიშა მუშკუდიანი, ზაურ სალინაძე ოჯახებით იუწყებიან

**ბახვა კოპალიანის**

გარდაცვალებას და თანაუგრძნობენ განსვენებულის ოჯახს.

ნუგზარ, რამაზ ჩიქოვანები ოჯახებით თანაუგრძნობენ ნინო, გია კოპალიანებს მამისა და სიმამრის

**მურთაზ სვანიძის**

გარდაცვალების გამო.

მიშა ბაკურაძე ოჯახით თანაუგრძნობს ლია, არსენ ლეშკაშელებს დისა და ცოლისდის

**ლენა გვიშიანის**

გარდაცვალების გამო.

ბარდნალის საშუალო სკოლის III, V, VII კლასების მოსწავლეები და კლასის ხელმძღვანელები თანაუგრძნობენ ნათია, ხათუნა, ქეთინო კოპალიანებს ბიძის

**ბახვა კოპალიანის**

გარდაცვალების გამო.

კავშირგაბმულობის ლაჯანის განყოფილების, შემნახველი სალაროსა და რადიოკვანძის თანამშრომლები თანაუგრძნობენ ლია, არსენ ლეშკაშელებს დისა და ცოლისდის

**ლენა გვიშიანი-ნემსწვერიძის**

გარდაცვალების გამო.

ლალიკო მინდაძე ოჯახით თანაუგრძნობს ნინო, გია კოპალიანებს მამისა და სიმამრის

**მურთაზ სვანიძის**

გარდაცვალების გამო.

მეუღლე ეთერი, და თინა, შვილები კუკური, მალიმა, დარეჯანი, რძლები გულსუნდა ბაქრაძე, ნანა რობიტაშვილი, შვილიშვილები შოთა, ეკა, თეიმურაზი, ნონა, გულთამზე, მარი, შვილთაშვილები ერეკლე, სოფიკო, გიორგი, სიძეები ბუჭუ შკუბულიანი, იური ლარცულიანი, დათო დაშნიანი, გია კახაბრიშვილი, მამიდაშვილები, დეიდაშვილები, ბიძაშვილები იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

**შოთა მიხეილის ძე გასვიანი**

დაკრძალვა 6 ივნისს, შაბათს, სოფ. მახაშში.

გივი სალინაძე ოჯახით იუწყება

**ბახვა კოპალიანის**

გარდაცვალებას.

მიშა ყურაშვილი, ქუჩუკი შკუბულიანი, რუბენ გოგიძე, მალხაზ, ზურაბ ლიპარტელიანები, სერიოჟა ღურჭუმალიძე, ბიძინა პირველი, რეზო სალინაძე, დათო, დადაში, ჯონი, ზაზა დავითულიანები იუწყებიან

**ბახვა კოპალიანის**

გარდაცვალებას.

ქუჩუკი შკუბულიანი, ვახტანგ ასათიანი თანაუგრძნობენ თინა, ზურაბ ასათიანებს

**ლენა გვიშიანის**

გარდაცვალების გამო.

დავით, ალექსანდრე ცვარიანები ოჯახებით თანაუგრძნობენ დალი, ტაგუ ფუტკარაძეებს

**ვალერი კოპალიანის**

გარდაცვალების გამო.

გივი ბურჯალიანი ოჯახით თანაუგრძნობს ნელი სვანიძეს მეუღლის

**მურთაზ სვანიძის**

გარდაცვალების გამო.

პროფტექნიკური სასწავლებლის თანამშრომლები თანაუგრძნობენ დალი, ტაგუ ფუტკარაძეებს

**ვალერი კოპალიანის**

გარდაცვალების გამო.

პროფტექნიკური სასწავლებლის თანამშრომლები თანაუგრძნობენ მერი კოპალიანს დედის

**ნიურას**

გარდაცვალების გამო.

ლუხვანოს არასრული საშუალო სკოლის კოლექტივი თანაუგრძნობს რიტა სალინაძეს ბიძის

**სოზარის**

გარდაცვალების გამო.

მურმან გუჯაბა, სოსო კოპალიანი ოჯახებით იუწყებიან

**ბახვა კოპალიანის**

გარდაცვალებას და სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

ცხუკუშერის საშუალო სკოლის კურსდამთავრებულები ნანული გოლეთიანი, ალეკო სვანიძე, გიზო ჩაკვეტაძე, კლასის ხელმძღვანელი ეთერ ხეცურიანი თანაუგრძნობენ გია ყურაშვილს მამის

**გერონტი ყურაშვილის**

გარდაცვალების გამო.

სამეურნეოთაშორისო სატყეო მეურნეობის თანამშრომლები თანაუგრძნობენ გივი სადილიანს დედის

**ვალენტინა სადილიანის**

გარდაცვალების გამო.

და დალი, სიძე ტაგუ ფუტკარაძე, ბიძაშვილები სეით, სოსო, ნანი ქომეთიანები, დეიდაშვილები ამირან, ომარ, ლელა ფუტკარაძეები ოჯახებით იუწყებიან

**ვალერი არსენის ძე კოპალიანის**

გარდაცვალებას.

ჩქუმის არასრული საშუალო სკოლის პედკოლექტივი და საბავშვო ბაღის თანამშრომლები თანაუგრძნობენ გულთამზე შკუბულიანს ბაბუის

**შოთა გასვიანის**

გარდაცვალების გამო.

ჩქუმის არასრული საშუალო სკოლის პედკოლექტივი, საბავშვო ბაღის თანამშრომლები თანაუგრძნობენ ალბერტ კოპალიანს, კლავდია დავითულიანს დედისა და დის

**ლიდა დავითულიანის**

გარდაცვალების გამო.

თამაზ ხეცურიანი, ზაური სილაგაძე ოჯახებით თანაუგრძნობენ ალბერტ კოპალიანს დედის

**ლიდა კოპალიანის**

გარდაცვალების გამო.

დადაში ხაბულიანი ოჯახით თანაუგრძნობს ლეილა, ჯუმბერ ნემსწვერიძეების ოჯახს

**ზურაბ მანდარიას**

გარდაცვალების გამო.

ჯემალ ირემაძე ოჯახით თანაუგრძნობს ნელი, მიმოზა, ინეზა, ნინო სვანიძეებს მეუღლისა და მამის

**მურთაზ სვანიძის**

გარდაცვალების გამო.

ბორის გოგიძე ოჯახით თანაუგრძნობს მერი, გივი მურცხვალაძეებს დედის და სიდედრის

**ნივრა ხეცურიანის**

გარდაცვალების გამო.

ქალაქის ბიბლიოთეკის თანამშრომლები თანაუგრძნობენ მიმოზა სვანიძეს, ბორის ბენდელიანს მამისა და სიმამრის

**მურთაზ სვანიძის**

გარდაცვალების გამო.

გოგი გაჩეჩილაძე, გურამ ჩორგოლიანი, ჯული ჩაჩხიანი ოჯახებით თანაუგრძნობენ ქორა ჩაჩხიანის ოჯახს რძლის

**ლია ჩაჩხიანის**

გარდაცვალების გამო.

კავშირგაბმულობის ალპანის განყოფილების თანამშრომლები თანაუგრძნობენ ციცინო ურთმელიძეს ბიძის

**დავით მელიტონის ძე ურთმელიძის**

გარდაცვალების გამო.

აკაკი ნემსაძე, მურმან გუჯეჯიანი, გურამ ყურაშვილი, კარლო გვიშიანი ოჯახებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

**შოთა მიხეილის ძე გასვიანი**

რუბენ, მერაბ, გალაქტიონ დავითულიანები, ნუგზარ მამარდაშვილი, ბიძინა, ზურაბ მიქაუტაძეები, რომან ბენდელიანი, მიშიკო სვანიძე ოჯახებით თანაუგრძნობენ მალიმა, ბუჭუ შკუბულიანებს მამისა და სიმამრის

**შოთა გასვიანის**

გარდაცვალების გამო.

გია ჩარკვიანი, ცაგუ ახვლედიანი, მაყვალა ცხვედიანი, ლილი ყურაშვილი, ირინე სვანიძე, თამილა ბენდელიანი, თინა თუთისანი, ნაზიკო შაბულიანი, დოდო ლორთქიფანიძე, ნანული მეშველიანი, ნუნუ გელენიძე, ნანა ხეცურიანი, ფოთოლა კოპალიანი, გუგა ლოღლიანი თანაუგრძნობენ დალი კოპალიანს და ნანი ქომეთიანს ძმისა და მამიდაშვილის

**ვალერი კოპალიანის**

და ლეილა ბენიძეს დისშვილის

**ზურაბ მანდარიას**

გარდაცვალების გამო.

ჩხუტელის საშუალო სკოლის პედკოლექტივი და ტექნიკური პერსონალი თანაუგრძნობენ რუსუდან ბენიძეს სიძის

**მურთაზ სვანიძის**

გარდაცვალების გამო.

შემნახველი ბანკის თანამშრომლები თანაუგრძნობენ ციცინო ურთმელიძეს ბიძის

**დავით ურთმელიძის**

გარდაცვალების გამო.

ვარლამ მურცხვალაძე ოჯახით იუწყება

**მურთაზ სვანიძის**

გარდაცვალებას.

ლამარა, დათო კაჭკაჭაშვილები, ვიტალი მუშკუდიანი, საშა მინდიაშვილი, მიხეილ კვირკაშვილი, ფაცა ჩაჩხიანი, რამინ გულბანი, შალვა თუთისანი, გია კოპალიანი ოჯახებით თანაუგრძნობენ იური ლარცულიანისა და აკაკი ნემსაძის ოჯახებს

**შოთა გასვიანის**

გარდაცვალების გამო.

ზურაბ, მამია, ქორა დაშნიანები ოჯახებით იუწყებიან

**შოთა გასვიანის**

გარდაცვალებას.

სოფო, კახა მუშკუდიანები, გრიგოლ სალინაძე ოჯახებით თანაუგრძნობენ დალი, ტაგუ, იაგო ფუტკარაძეებს

**ვალერი კოპალიანის**

გარდაცვალების გამო.

ლასურიაშის საშუალო სკოლის 1971 წლის კურსდამთავრებულები და კლასის ხელმძღვანელი ნათელა ბაკურაძე თანაუგრძნობენ დარეჯან გასვიანს მამის

**შოთა გასვიანის**

გარდაცვალების გამო.

ოთარ, დადაში, გელა, ავთანდილ, ვალერი ხაბულიანები, ვალიკო თუთისანი, ამირან მანდარია ოჯახებით თანაუგრძნობენ დალი, ტაგუ ფუტკარაძეებს ძმისა და ცოლისძმის

**ვალერი კოპალიანის**

გარდაცვალების გამო.

დარიკო ქიქინაძე, გურამ კოპალიანი, გივი გიორგობიანი, ჯონი ყვირილიანი, დემურ, ლალი ნემსწვერიძეები, გურამ, ნოდარ მუშკუდიანები, დათო სალინაძე, ოთარ ქლიბაძე, ალექსი ხაბულიანი, თამარ გუგავა, მარო ბახსოლიანი, მარო გვიშიანი თანაუგრძნობენ მერი, გივი მურცხვალაძეებს დედის

**ნივრა კოპალიანის**

გარდაცვალების გამო.

დისშვილები ბადუ, ნელი, ქორა ჩაკვეტაძეები ოჯახებით იუწყებიან

**ნორა რუსიშვილი-კიზირიას**

გარდაცვალებას.

გურამ ბურჯალიანი ოჯახით იუწყება

**ბახვა კოპალიანის**

გარდაცვალებას.

ლუდუკი, დადაში, ზაური, შურა ბენიძეები, ჯემალ კოპალიანი, თამაზ, შოთა ლიპარტელიანები ოჯახებით იუწყებიან

**ზურაბ მანდარიას**

გარდაცვალებას.

ეთერ ბარაბაძე, ნინა ახვლედიანი, ალუდა ზურაბიანი, ანზორ ნემსაძე, რეზო მურცხვალაძე, ვლადიმერ ხეცურიანი, რაბულ ჩარკვიანი, სოსო ფანჯავიძე, შარდენ გუგავა ოჯახებით იუწყებიან

**შოთა გასვიანის**

გარდაცვალებას.

გრიშა ახვლედიანი ოჯახით იუწყება

**შალიკო ფილიპეს ძე სვანიძის**

გარდაცვალებას.

სოფელ ქულბაქის მცხოვრებნი თანაუგრძნობენ მალიმა გასვიანს მამის

**შოთა გასვიანის**

გარდაცვალების გამო.

ჟენგიზ მეშველიანი, რეზო ტვილდიანი, ამირან სადილიანი, რამაზ კვირკაშვილი, ახმედ აკიბეროვი, დომენტი გოგიძე ოჯახებით თანაუგრძნობენ ომარ, გივი ბენიძეების ოჯახებს დისშვილის

**ზურაბ ვაჟას ძე მანდარიას**

გარდაცვალების გამო.

ლუხვანოს საბავშვო ბაღის თანამშრომლები თანაუგრძნობენ იური ხეცურიანის ოჯახს მამიდის

**ნივრა ხეცურიანის**

გარდაცვალების გამო.

რუბენ ბაქრაძე ოჯახით იუწყება

**შოთა მიხეილის ძე გასვიანის**

გარდაცვალებას.

შალვა ცვარიანი ოჯახით იუწყება

**ზურაბ მანდარიას**

გარდაცვალებას და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს.

შოთა, ზურაბ, სერგო, ნანი ხაბულიანები თანაუგრძნობენ ლეილა, ჯუმბერ ნემსწვერიძეების ოჯახს

**ზურაბ მანდარიას**

გარდაცვალების გამო.

ბარდნალის საშუალო სკოლის პედაგოგიური კოლექტივი და ტექნიკური პერსონალი თანაუგრძნობენ დალი ფუტკარაძეს ძმის

**ვალერი კოპალიანის**

გარდაცვალების გამო.

რაიკოოპერატივის, საზკვების გაერთიანებისა და პურკომბინატის აპარატის თანამშრომლები თანაუგრძნობენ იზო მურცხვალაძეს ბიძის

**მურთაზ სვანიძის**

გარდაცვალების გამო.

საქართველოს ბეჭდვითი სიტყვის სახელმწიფო დეპარტამენტის ქუთაისის პოლიგრაფიული გაერთიანების ცაგერის სტამბა.